# ამომრჩევლები დაბის წინაშე მდგომი პრობლემების ერთდროულად გადაწყვეტას ითხოვენ

ალიონი. 21 დეკემბერს დაბა ნარუჯის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ კოჩალიძემ დაბის ამომრჩევლებს ჩააბარა ანგარიში.

-დაბა ნარუჯაში 670 კომლი ცხოვრობს, მოსახლეობის რაოდენობა 2700 აჭარბებს. დაბაში ცხოვრობენ ქართველები,(მათ შორის რეინტეგრირებული მესხებიც), სომხები, რუსები, რომელთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობებია — აღნიშნა გურამ კოჩალიძემ. დაბას ემსახურება საბავშვო ბაღი 4 ჯგუფით, საჯარო სკოლა 300-ზე მეტი მოსწავლით.

აქ ბოლო ერთ წელიწადში 13 მრავალბინიან სახლს (70 ოჯახი) გამოეცვალა სახურავი, სოციალურად შეჭირვებულ სამ ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალები. სოციალური პროგრამით 70-ზე მეტ ბენეფიციარს გაეწია დახმარება.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 44 130 ლარი დახარჯეს. (განათება, მოსაცდელის აგება, სტადიონის შემოღობვა).

ანგარიშის განხილვისას განსაკუთრებული მსჯელობის საგანი დაბის წყალმომარაგების ქსელის სათავე ნაგებობა გახდა, რომლის შესახებაც დეპუტატმაც აღნიშნა და სხვებმაც.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ განმარტა, სათავე ნაგებობის მოსაწესრიგებლად გამოცხადებული იყო ტენდერი და უახლოეს დღეებში უნდა დაიწყონ სარეაბილიტაციო სამუშაოები. კონკრეტული ვადა–10 დღე წყლის კომპანიის წარმომადგენელმა ლევან გუდავაძემ დაასახელა.

ანგარიში ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, ნარუჯის სკოლის უფროსკლასელებმა დაბის წინაშე მდგომი პრობლემების გარშემო დასვეს კითხვები, მაგრამ უფროსები ძირითადად მათი პირადი პრობლემების გარშემო სვამდნენ კითხვებს.

მერაბ ჭანუვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია მათ კითხვებს პასუხობდნენ.

-ყველა პრობლემას ერთად ხომ ვერ გადავწყვეტთ, თავად ხედავთ თანდათან ვაგვარებთ პრობლემებს. დაბის გაზიფიცირება კერძო კომპანია „სოკარმა“ უნდა მოახდინოს. ჩვენ ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების გეგმა წარმოედგინა „სოკარს“, რის შემდეგაც კონკრეტულ დროს გაცნობებთ —აღნიშნა ჭანუყვაძემ.




# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №4 (10145), 25 იანვარი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.


# თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების ანგარიშების განხილვა დაიწყო

ალიონი. დღეს თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების ანგარიშების განხილვა დაიწყო.

პირველი თვის ანგარიში ამომრჩევლებს დაბა ლაითურის მაჟორიტარმა დეპუტატმა რესან გაბაიძემ ჩააბარა.

გაბაიძე ამომრჩევლებს ესაუბრა იმ საქმიანობის შესახებ, რასაც იგი აკეთებდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში: საკრებულოს სხდომებში, კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, მოსახლეობასთან შეხვედრები, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის მიერ განხორციელებული პროექტების მიმოხილვა, მუნიციპალიტეტის მიერ მისი უშუალო შუამდგომლობით ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის გაწეული სხვადასხვა დახმარებები და ა.შ.

წელს დასრულდა მდინარე ნატანებზე მერია-ნატანების დამაკავშირებელი 150 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა, რაზედაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2 484 000 ლარი გამოიყო.

— დაბის პრიორიტეტების კვლევამ აჩვენა, რომ ლაითურელთათვის ნომერ პირველი პრობლემა უწყლობაა. პროექტი შეიქმნა და 2016-2017 წლებში დაბაში ერთხელ და სამუდამოდ ეს პრობლემა მოგვარდება. სავარაუდოდ ამ პროექტის განხორციელება 4 მილიონამდე ლარი დაჯდება-აღნიშნა თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ. მისი თქმით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანადაფინანსებით მომავალში ლაითურში გზაც გაკეთდება და „სოკარიც“ აღებულ ვალდებულებას შეასრულებს დაბის გაზიფიცირების საქმეში.

გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძემ აღნიშნა, რომ დეპუტატმა მხოლოდ გაკეთებულ საქმეებზე ისაუბრა.

— სასურველია ანგარიშებში ჩანდეს რა არ გაკეთდა და როგორ უნდა გაკეთდეს.—აღნიშნა მან.

— ჩვენ ჩვენს მოსახლეობას ამ ანგარიშებით უნდა დავანახვოთ, ამ სიდუხჭირის დროს, რა შეძლო ხელისუფლებამ— თქვა საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ.

ანგარიშის შეფასება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძემ და დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემაც გააკეთეს.

ეს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ იგი ონლაინ რეჟიმში გადაიცემოდა და მისი მიმდინარეობის პროცესში ლაითურის სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ.



# აშენდება თუ არა ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო ოზურგეთში?



ალიონი. ამ თემაზე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კარგა ხანს გასტანს მსჯელობა. ადგილობრივი მოსახლეობა ცალსახად აცხადებს: ჩვენ არ ვებრძვით ინდოელ ინვესტორს, არამედ ჩვენი ჯანმრთელობისთვის საშიშ პროექტს.

მედიის პოზიცია ძირითადში იმაში გამოიხატება, რომ მაქსიმალურად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია, სპეციალისტების კომენტარები ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს აშენების რისკ-ფაქტორების შესახებ.

რაც შეეხება ხელისუფლებას (სამხარეო ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი), ისინი ცდილობენ ერთის მხრივ ხელი შეუწყონ უცხოელ ინვესტორს ბიზნეს-გარემოს შექმნაში, მეორეს მხრივ გასათვალისწინებელია მოსახლეობის პროტესტის მიზეზებიც.

21 დეკემბერს გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე შპს „მანსაროვარის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს არვინდ შარმას შეხვდა. შეხვედრა მედიის გარეშე მიმდინარეობდა. შეხვედრის დასასრულ გაზეთ „ალიონს“ საშუალება მიეცა რამდენიმე კითხვა დაესვა ბატონ ერვინდისთვის და შეხვედრის მონაწილე შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ წარმომადგენლებისთვისაც.

„ჯეოგადამამუშავებელი“ კვლავ უარყოფს ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ერთ-ერთ საამქროში კუსტარულად ტყვიის გადადნობის ფაქტებს, რომლის დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერი არსებობს .გაზეთმა წარმოადგინა მონაცემები არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ მიერ მდინარე აჭისწყლისა და ბჟუჟის კონკრეტულ მონაკვეთზე წყალში ტყვიის მაღალი შემცველობის შესახებ, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს მიერ ქალაქის ექადიის უბანში (სადაც „მანსაროვარის“ საწარმოა) დაკლულ საქონელში ტყვიის შემცველობის (4 შემთხვევა) შესახებ.

გუბერნატორმა შესთავაზა შეხვედრის მონაწილეებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნის იდეა, სადაც შევლენ მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო სექტორის, მედიის წარმომადგენლები, სპეციალისტები, „ჯეოგადამამუშავებელის“ წარმომადგენელი, რომლებიც კონკრეტულ პრობლემაზე იმუშავებენ.

—ჩემი ინტერესი გურიის რეგიონში ნებისმიერი ინვესტორის შემოსვლა გახლავთ, მაგრამ ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი. ჩვენთან შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი კომპანიის მიერ შემუშავებულ პროექტს განიხილავს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვაპირებთ კომპანიის წარმომადგენლების რაიმე სახით შეზღუდვას. კიდევ ერთხელ ვადასტურებ ინვესტორის მიმართ ჩემს პატივისცემას და კანონის ფარგლებში, ნებისმიერი სახის საქმიანობას მივესალმები, რაც ჩვენი რეგიონისა და მოსახლეობისთვის იქნება მისაღები, — განაცხადა გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ.

გია სალუქვაძის ინიციატივით შპს „მანსაროვარის“ ტერიტორიის დათვალიერება მოხდა. ამჟამად აქ აკუმულიატორების გადამუშავება არ ხდება. მხოლოდ შპს „ჯეოგადამამუშავებელის“ მიერ „მანსაროვარისაგან“იჯარით აღებული საამქროს დემონტაჟი მიმდინარეობს.

შპს „ჯეოგადამამუშავებელი“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განახლებულ პროექტს წარადგენს, რომლის განხილვა ოზურგეთში უნდა გაიმართოს.

პ.ს. 21 იანვარს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა ნანული ორაგველიძემ ოზურგეთში ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს აგების მიზანშეუწონლობის შესახებ განცხადება გააკეთა.

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე «ალიონით»**

# ქალაქ ოზურგეთის საბავშვო ბაღებში საალმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი განახლდა



ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგლარ სიორიძემ და სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ეკა ნინიძემ საბავშვო ბაღებს ჯგუფებში აუცილებელი ყველა საჭირო ინვენტარი გადასცეს.

საკანცელარიო ნივთებით, საბავშვო ლიტერატურით, სათამაშოებით და სამზარეულო ინვენტარით ქალაქის ყველა ბაღი აღიჭურვა.

ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ ქალაქ ოზურგეთის მე-9 საბავშვო ბაღი მოინახულა, იქ არსებულ ვითარებას გაეცნო და პატარებს საჩუქრები მიუტანა.

„მოხარული ვარ, რომ სკოლამდელ-საალმზრდელო დაწესებულებებში პატარებისათვის კომფორტული გარემოა შექმნილი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. ქალაქის მერია მაქსიმალურად ცდილობს, რომ ბაღის გარეშე არცერთი ბავშვი არ დარჩეს. გასულ წელს მერიამ 6 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია განახორციელა, ხოლო მიმდინარე წელს 4 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი იგეგმება. დღეს ქალაქ ოზურგეთში არსებულ რვა საბავშვო ბაღს ოცი ათასი ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი გადავეცით. ეს არ გახლავთ ერთჯერადი ხასიათის და ქალაქის მერია საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრთან ერთად სისტემატიურად გააგრძელებს მსგავსი ტიპის ღონისძიებებს.

ვულოცავ აღსაზრდელებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და წარმატებებს ვუსურვებ“- განაცხადა ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ.

დღეის მდგომარეობით ქალაქის საბავშვო ბაღებში 1040 აღსაზრდელი ირიცხება.

# დეპუტატის ანგარიში სრული ანშლაგით

**ალიონი.** თეატრალური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, სრული ანშლაგით ჩაიარა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაბა ურეკის მაჟორიტარი დეპუტატის ბიძინა იმნაიშვილის წლიურმა ანგარიშმა, რომელიც 22 იანვარს ურეკის კულტურის სახლში შედგა.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-გუბერნატორი სოსო ერქომაიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, მოადგილე დიმიტრი კვერღელიძე საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი ნანა თავდუმაძე. მთავარი თემები გახლდათ კურორტის განაშენიანებისა და დასუფთავების საკითხები. ანგარიშის მოსმენისა და დადებითად შეფასების შემდეგ, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მათთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდეს ხელისუფლებას. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა, წარმომადგენლებმა პროექტისა „მართე სახლიდან“, წამოაყენეს თავიანთი ხედვა კურორტის განვითარება-განაშენიანებაზე ახლო და შორეულ პერსპექტივაში

# ქალაქ ოზურგეთში 2015 წელს დაწყებული გარდამავალი ინფრასტრუქტურული სამუშაოები განახლდა

**ალიონი.** პროექტების მიმდინარეობა ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძემ მოინახულეს.

გრძელდება ჭავჭავაძის ქუჩის რეკონსტრუქცია, რომელიც ავტომანქანების მოძრაობას საბოლოოდ დაარეგულირებს.

რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების კუნძულების მშენებლობა მიმდინარეობს, კუნძულები გამწვანებული იქნება და დოლიძის ქუჩას ახალ იერს შესძენს. აღნიშნული კუნძულები, ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მოედანთან მოეწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი მნიშვნელოვნად განახლდება.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 180 000 ლარით ფინანსდება. პროექტს შპს ‘‘გზამშენი 18’’ ასრულებს.

ასევე, აქტიურ რეჟიმში გრძელდება ტროტუარების მშენებლობა. ტროტუარები ქალაქის ექვს ქუჩაზე დოლიძის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ერისთავის, თაყაიშვილისა და ნაკაშიძის ქუჩებზე, გზის ორივე მხარეს იგება, რითაც ქვეითთა პრობლემა გადაადგილებასთან დაკავშირებით საბოლოოდ გადაიჭრება და ქალაქი განახლებულ იერ-სახეს შეიძენს.

# გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის მოსახლეობას შეხვდა

**ალიონი.** გუბერნატორთან შეხვედრის მიზანი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სოფლის სტატუსის მინიჭების საკითხი გახლდათ. ადგილობრივები სოფელ ქვაბღას მაღალმთიანი რეგიონების ჩამონათვალში ჩასმას ითხოვდნენ. როგორც სოფლის მცხოვრებლები აცხადებენ, ქვაბღაში მიგრაციის დონე საკმაოდ მაღალია და სოფელი თითქმის დაცარიელდა. მათი განმარტებით, სტატუსის მინიჭება სოფლის ეკონომიკური კუთხით გაძლიერებას ხელს შეუწყობს.

გუბერნატორმა შეხვედრაზე მოქალაქეებს მაღალმთიანი სოფლებისათვის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდა და განუმარტა, რომ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მიერ განისაზღვრა რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც შეეხება ზღვის დონიდან 1500 მეტრზე დაბლა მდებარე დასახლებებს. გია სალუქვაძემ მოქალაქეებს ასევე, განუმარტა, რომ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების განხილვა, რათა შესაბამისი დასაბუთებითა და გუბერნატორის შუამდგომლობით 2016 წლის 1 აპრილამდე მოხდეს დამატებითი სოფლების წარდგენა მთის განვითარების საბჭოს სხდომაზე მათთვის მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების თაობაზე. აქვე გაწვდით იმ სოფლების ჩამონათვალს, რომლებსაც შესაძლოა მაღალმთიანი სტატუსი მიენიჭოთ - ქვაბღა; ზემო სურები; შუა სურები; დიდივანი; ჯუმათი; მთისპირი; ასკანა; ვაკიჯვარი.

გია სალუქვაძე თავისი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეებს, იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებასაც შეჰპირდა, რომელიც სოფლისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

„ დღეს გუბერნატორმა დეტალურად გაგვაცნო ყველა ის კრიტერიუმი, რომლითაც სოფელს მაღალმთიანის სტატუსი ენიჭება. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გია სალუქვაძეს გულთბილი მიღებისთვის. მან ჩვენი პრობლემა გულთან ახლოს მიიტანა და დახმარებას შეგვპირდა. დარწმუნებული ვარ, რომ გუბერნატორი უახლოეს პერიოდში მოახდენს რეაგირებას და შუამდგომლობას გაგვიწევს შესაბამის სამსახურებთან,“- განაცხადა სოფელ ქვაბღაში მცხოვრებმა, ნონა ქილიფთარმა.



# აფხაზეთის ომის მონაწილეებმა ქალაქ ოზურგეთში საბრძოლო დიდების მემორიალი მოაწესრიგეს

**ალიონი.** 2000 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ერთმა ჯგუფმა ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, ამჟამინდელ საკათედრო ტაძრის მიმდებარე ბაღის ტერიტორიაზე დაღუპულ თანამებრძოლთა მემორიალი გააკეთეს, რომელზეც დამაგრებულ დაფაზე აფხაზეთსა სამაჩაბლოში დაღუპული გმირების სახელები ამოტვიფრეს. იყო წლები, როცა ვეტერანი მეომრები, მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნავდნენ სოხუმის დაცემის დღეს...

ომის ვეტერანები პერიოდულად იკრიბებიან ამ ძეგლთან, ერთმანეთს პრობლემებზე ესაუბრებიან, თანამებრძოლებს იგონებენ და პერიოდულად ძეგლს ასუფთავებენ.

მათ ძეგლი კვლავ დაასუფთავეს.



# პირველი ცვლილებები და დამატებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში



**ალიონი.** ალიონი. 22 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში.

შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი სულ გაიზარდა 1 131 624,31 ლარით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 1 109 824,31 ლარი. მათ შორის:

თავისუფალი ნაშთი – 518 500 ლარი; საქართველოს მთავრობის №2195 განკარგულება (სტიქია) – 6878,92 ლარი; საქართველოს მთავრობის №1381 განკარგულება (სტიქია) – 192897,91 ლარი; საქართველოს მთავრობის №2529 განკარგულება (სტიქია) – 78681,82 ლარი; საქართველოს მთავრობის №506 განკარგულება – 11717,52 ლარი; საქართველოს მთავრობის №39 განკარგულება – 270848,14 ლარი; საქართველოს მთავრობის №866 განკარგულება (სტიქია) – 17 300 ლარი; საქართველოს მთავრობის №34 განკარგულება 13.012014 წელი (რეგიონული პროექტები) – 13 000 ლარი.

გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 21 800 ლარით, კერძოდ: შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან – 21 800 ლარით.

შესაბამისად გაიზარდა თავისუფალი ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები – 9300 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საცხოვრებელი შენობები – 124 000 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები – 72 000 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები – 8 000 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან კულტურის ღონისძიების ხელშეწყობა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები – 11 000 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან სოციალური ღონისძიებები, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით – 17 000 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები – 219 300 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი სუბსიდიების ნაწილში – 35 000 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან კეთილმოწყობის ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები – 36 300 ლარით; თავისუფალი ნაშთიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ნაგებობის დაცვის ხარჯი – 8 400 ლარით;

საქართველოს მთავრობის № 2195 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობანაგებობები – 6878,92 ლარით;

საქართველოს მთავრობის №1381 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები – 192897,91 ლარით;

საქართველოს მთავრობის №2529 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები – 29580 ლარით;

საქართველოს მთავრობის №2529 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, სხვა ხარჯები, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები – 49101,82 ლარით;

საქართველოს მთავრობის №506 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები – 11717,52 ლარით;

საქართველოს მთავრობის №39 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა ნაგებობები – 270848,14 ლარით;

საქართველოს მთავრობის №866 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა ნაგებობები – 17 300 ლარით;

საქართველოს მთავრობის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები – 13 000 ლარით.

## ხელშეკრულების გაფორმება იანვრის დარჩენილ დღეებში უნდა მოესწროს

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 22 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე განიხილეს დეპუტატებმა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ ხელმძღვანელის მინდია სალუქვაძის მიერ წარმოდგენილი საკითხი ,,ევროკომისიასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე გასაფორმებელი ხელშეკრულების შესახებ“. შესაბამისი განკარგულების მიღებას საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

შეგახსენებთ, რომ ,,ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთბლივი თანამშრომლობით ტურიზმის სფეროში მოიპოვა ევროკავშირის სოლიდური 350 000 ევროთი დაფინანსებული გრანტი. ევროკომისიასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის უნდა გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თანხმობა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საქართველოს მთავრობიდან და ეს ყველაფერი იანვრის დარჩენილ დღეებში უნდა მოესწროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია წარმოიშვას სერიოზული პრობლემები, მათ შორის ევროკომისიიდან 350 000 ევროთი დაფინანსებაზე უარის თქმაც კი.

საქართველოდან ეს სოლიდური გრანტი ორმა ორგანიზაციამ მოიპოვა. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ,,ახალგარდა მეცნიერთა კლუბია“, მეორე კი, მინდია სალუქვაძის ინფორმაციით, რუსთავში მოქმედი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა.

## საშტატო ნუსხაში ცლილებების შეტანა გადაიდო

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე გადაიდო სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ოქტომბრის №69 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა დეპუტატების უმრავლესობამ.

წინადადება მიეცა გამგეობას, საკითხის სრულყოფილად მოამზადოს და წარმოადგინოს საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

## ასკანასა და მზიანში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს რთული შეხვედრა ელით

**ალიონი.** ,,ორშაბათს ანგარიშით წარვდგები ჩემი სოფლის, ჩემი ამომრჩევლის წინაშე. იმედია, ჩამობრძანდებით და დაესწრებით ამ შეხვედრას. თქვენ კარგად გახსოვთ, რამდენჯერ დავაყენე ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტას ითხოვდნენ და ითხოვენ ასკანელები და მზიანელები, ეს არის გზა შეპირებული გზა და მაღალმთიანობის სტატუსი. ამ საკითხებზე აუცილებლად მოგიწევთ პასუხის გაცემა, ხალხი ფიქრობს, რომ მათი პრობლემები მე არ მომაქვს თქვენამდე.“ – განუცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელებსა და გამგეობის წარმომადგენლებს სოფელ ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა ილია მამალაძემ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბადრი გობრონიძის თქმით, ასკანის გზის რეაბილიტაციას რომ თანხა სჭირდება, იმდენი ამ მიზნით მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის არ არის გამოყოფილი, ხოლო მაღალმთიანობის მინიჭება ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივა არ არის.

– მაშინ არ უნდა შეპირებოდით ხალხს, პირველ საკითხზე გეუბნებით. თქვენი თვალით ნახეთ, მეწყერს მიაქვს ყველაფერი. ისე ნუ იზამთ, რომ მოსახლეობამ მასობრივად დატოვოს იქაურობა, – თქვა პასუხით უკმაყოფილო დეპუტატმა.

როგორც ჩანს, ასკანასა და მზიანში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს ელით რთული შეხვედრა, რომელიც დღეს გაიმართება.

## „ნაცმომ სტრასბურგში, ამჯერადაც, წინასწარ გადასხა დესანტი იმ მიზნით, რომ ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლებისთვის მაქსიმალურად საზიანო“

**ალიონი.** ,,მიუხედავად იმისა, რომ ნაცმომ სტრასბურგში, ამჯერადაც, წინასწარ გადასხა დესანტი იმ მიზნით, რომ ევროპარლამენტის ეს რეზოლუცია ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლებისთვის მაქსიმალურად საზიანო, ვერც ერთი (!!!), მათი დიდი ძალისხმევის მიუხედავად მომზადებული 17 (!) ცუდი და საზიანო შესწორება ვერ გავიდა და ჩავარდა !!!!

ევროპარლამენტი მოწოდების სიმაღლეზეა!!!

დამთავრდა ის დრო, როდესაც ბევრის საკუთარ ჭკუაზე ათამაშება გამოსდიოდათ მავანთ !!! ,, - წერს საკუთარ ფეისბუკგვერდზე ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე.

საუბარია ასოცირების შეთანხმების და **DCFTA**-ს შესახებ ევროპარლამენტის მიერ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასათვის ახლახან მორიგი მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებისას ნაციონალური მოძრაობის ქმედებაზე.

,,ევროპარლამენტმა მიიღო საქართველოს (ასევე უკრაინის და მოლდოვას) მორიგი მხარდამჭერი რეზოლუცია ასოცირების შეთანხმების და **DCFTA** ს თაობაზე. ეს არის ძალიან პოზიტიური და დაბალანსებული დოკუმენტი, სადაც სათანადოდ შეფასდა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები , აღინიშნა ჩვენი წინსვლა მრავალი მიმართულებით და რომლითაც კიდევ ერთხელ განმტკიცდა ვიზალიბერალიზაციის ძალაში მალე შესვლის პერსპექტივა.- ამბობს კვაჭანტირაძე.

უმრავლესობის თავკაცი აქვე რჩევას აძლევს მასმედიის ზოგიერთ წარმომადგენელს:



,,შეინარჩუნეთ პროფესიული ღირსება, ნუ აკოპირებთ ერთი მაუწყებლის მიერ თავსმოხვეულ ნიუსებს. თქვენც ჩაიხედეთ, წაიკითხეთ, გაანალიზეთ რა ხდება იქაც (ევროპარლამენტში) სინამდვილეში. ასე ბრმად ნუ ენდობით მხოლოდ ერთ წყაროს. პირველწყაროებზეც იმუშავეთ და აღმოაჩენთ, როგორ ამოძვრებით, უმტკივნეულოდ ტირაჟირებული ტყუილების მორევიდან, რომელშიც ძალით თუ უნებლიედ ითრევთ საკუთარ თავს.

# იმედი მაქვს, ამ რუბიკონს ერთობლივად წარმატებით გადავლახავთ!



საჯარო პოლიტიკით დაკავებული ადამიანი მუდმივად უნდა იყოს საზოგადოებასთან კონტაქტში, ამიტომ ვთვლი თავს ვალდებულად, საზოგადოებას გავაცნო ჩემი მოსაზრებები, რომელიც სავარაუდოდ, მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლებელია განვითარდეს და ის სრულად აცდენილი იქნება რაიონის ინტერესებს.

2016 წელი ძალიან მნიშვნელოვანი წელია ჩვენი ქვეყნის მომავლისა და განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით. მოსახლეობის მიერ გაკეთებულმა არჩევანმა უნდა განსაზღვროს ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ოჯახის კეთილდღეობის პერსპექტივა. ამიტომ თითოეულ ჩვენგანს ექნება ძალზედ მნიშვნელოვანი და გააზრებული გადაწყვეტილება მისაღები.

შედის თუ არა ჩვენს ინტერესში, ისევე გაგრძელდეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სტაგნაცია და მეტიც, გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, თუ უფრო გონივრულია, ლეგიტამიცია მივცეთ პროფესიონალ ადამიანებს, რომლებიც სწორი და ეფექტური მართვის პირობებში, გამოიყვანენ ქვეყანას მძიმე მდგომარეობიდან და მოსახლეობას ოცნებიდან რეალურ კეთილდღეობაში აცხოვრებენ. ვიტოვებ იმედს, იმ არაორდინალური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნების შედეგებში, რომელიც უკვე არც ისე შორსაა, რეალურად და სამართლიანად აისახება ხალხის განწყობები, ხოლო ილუზიას, ოცნებას და ყალბ დაპირებებს არ აჰყვება ამომრჩეველი. ამომრჩეველი, რომელიც „მეოთხე საოცნებო წელს“ საოცრად შორს დგას ხელისუფლებისაგან, რომელიც უზრუნველყოფილი, გაზულუქებული სიმშვიდით უყურებს, თუ როგორ ტანჯვით ათენებენ და აღამებენ თანამოქალაქეები, რომლებსაც უკვე არც ძალა შესწევთ და არც ფინანსები, გაუმკლავდნენ კრედიტებს, ვალებს, გადასახადებს და ა.შ. დღევანდელი ხელისუფლება, სამწუხაროდ, იმდენად დაემსგავსა წინას, დარწმუნებული ვარ, ვერც იმ სტერეოტიპს გასცდება, რა კრიტერიუმითაც სააკაშვილის ხელისუფლება ირჩევდა საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს. პირველი, ეს შეიძლება იყოს ხელისუფლებასთან დაახლოებული, ან მათ მიერვე დაფინანსებული, ე.წ. „წარმატებული“ ბიზნესის წარმომადგენელი, რომელიც რეალურად ხელისუფლების დაფინანსებული პროექტებით ნასაზრდოები, ისევ ხელისუფლების სასარგებლოდ, საკუთარი ბიზნესის დასაცავად და მორჩილი უმრავლესობის შესაქმნელად პარლამენტში, გასცემს ცრუ დაპირებებს, აგვიგებს ოცნების კოშკებს, შედეგად კი, ისევ მოსახლეობის გაღარიბების საფუძველზე, თავად გამდიდრდება. ყველასათვის ნათელია, ხელისუფლებამ ქვეყანაში ჩამოაყალიბა ისეთი გარემო, რომელიც მდიდარს კიდევ უფრო ამდიდრებს, ხოლო ღარიბს, მეტად აღარიბებს. ამ მიდგომით სახელმწიფოს, მითუმეტეს, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება.

მეორე მიმართულება, რომელიც შეიძლება განავითაროს ხელისუფლებამ, გახლავთ ის, რომ კიდევ მეტად გააძლიეროს კონტროლი სამართალდამცავი სტრუქტურებიდან, როგორც არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, ასევე შემდგომ, ხელისუფლების შტოებზე მართვის თვალსაზრისით, ანუ ეცდება პარლამენტის დაკომპლექტება მოახერხოს სამართალდამცავი სისტემებიდან მოზიდული კადრებით, რომლებიც უშუალოდ იქნებიან მართული სუსის, კუდის და ა. შ. მიერ. ეს კატეგორიულად მიუღებელი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით საშიში მოვლენა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის დამღუპველი გზაა. ასეთი ქმედებების ნეგატიურმა და დანაშაულებრივმა შედეგებმა, ყოველ ჩვენგანს კარგად გვახსოვს, როგორ მიიყვანა ქვეყანა სისტემურ დანაშაულთან.

მესამე მიმართულება, ეს არის, ხელისუფლებამ თავისი რესურსიდან წარმოუდგინოს საზოგადოებას ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა, რომელიც გამორჩეული იქნება თავისი ღირსებებით, მაგრამ სამწუხაროდ ხელისუფლებას ასეთი რესურსი მწირზე მწირი ჰყავს. ამიტომ სახეზე გვექნება კიდევ ერთი თავსმოხვეული საკადრო პოლიტიკის მცდელობა, რომელიც, როგორც სხვა შემთხვევაში, მხოლოდ წარმომავლობით იქნება მიბმული ოზურგეთთან და არავითარი კავშირი არ ექნება ჩვენს რაიონში მიმდინარე პროცესებთან, პროცესებთან, რომლის პატიოსნად და ღირსებით გავლა დიდ პასუხისმგებლობას სძენს პოლიტიკოსს. სხვა შემთხვევაში, ეს იქნება ვიღაცისთვის გათვლილი მხოლოდ კარიერისტული ნაბიჯი, რომელიც ჩვენი რაიონისთვის და მოსახლეობისთვის არაფრის მომცემი იქნება. ასეთი არჩევანი ჩვენი მოსახლეობის ინტერესში არ შედის!

ჩემო ძვირფასებო ! თქვენ დიდი ხანია უკვე დაიმსახურეთ და თქვენს სასიცოცხლო ინტერესებში შედის, საკუთარი გააზრებული არჩევანით შექმნათ საკუთარი ოჯახების კეთილდღეობა და იცხოვროთ თავისუფალ, დემოკრატიულ, ძლიერ სახელმწიფოში. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, 2016 წლის არჩევნები იქნება ძალზედ არაორდინალური, რადგან ამ შემთხვევაში, არ იქნება მხოლოდ ორი, მკვეთრად განსხვავებული ძალა (პირობითად, თეთრი და შავი), არამედ იქნება ღირებულებითი, პოლიტიკური ორიენტაციის, მართველობის სტილისა და შეხედულებების არჩევანი. ამიტომ იქნება იგი გამორჩეული, განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის რეალური განვითარებისათვის. აქვე აღვნიშნავ, ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად პროფესიისა, უფლება აქვს აქტიურად იყოს ჩართული ქვეყნის მშენებლობის პროცესში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, გამოცდილება, და განსაზღვროს, სად იქნება ყველაზე მეტად ეფექტურად რეალიზებული თავისი ქვეყნისთვის. ასევე, ეს არჩევნები მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ლუსტრაციის თვალსაზრისითაც. ყველა ნათლად დაინახავს, საბოლოო ჯამში, ოზურგეთის დღევანდელ რეალობაში, ვინ ცხოვრობს ორმაგი სტანდარტით, ვინ იმართება სამართალდამცავი სტრუქტურებიდან და ვინ არის გულწრფელად მზად, იბრძოლოს თავისი ქვეყნის, თუნდაც რაიონის, კეთილდღეობისათვის. იმედი მაქვს, ამ რუბიკონს ერთობლივად წარმატებით გადავლახავთ!

**თემურ სალუქვაძე,**
„თავისუფალიდემოკრატების“
ლიდერი გურიაში.

# ერიდეთ გრიპს

გრიპი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ინფექციაა. პერიოდულად მისი გავრცელება კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს და დიდი პრობლემა ხდება საზოგადოების ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ასაკოვანი ადამიანების, ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილი პირებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

გრიპს იწვევს გრიპის ვირუსები, რომელთა სხვადასხვა ვარიანტები არსებობს. ამავე დროს ის რასაც ჩვენ „გაციებას“ ან „გრიპის მგვარ დაავადებებს“ ვარქმევთ (მწვავე რესპირატორული ინფექციები), შეიძლება გამოწვეული იყოს 200-ზე მეტი სხვადასხვა ვირუსის მიერ და ძალიან იშვიათად ბაქტერიებით. ამიტომაც მათ სამკურნალოდ ანტიბიოტიკები ეფექტს არ იძლევიან. მოზრდილები „გაციებით“ წელიწადში 2-4-ჯერ, ხოლო პატარა ბავშვები 6-10-ჯერ შეიძლება გახდნენ ავად.

მსოფლიოში გრიპის სიტუაციის შეფასების საფუძველზე შეიძლება მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გრიპის ავადობის მატებას ზამთრის სეზონში გამოიწვევს ძირითადად (**HH1 n1**) ვირუსები. ე.წ.ღორის გრიპი

სეზონური მატება უნდა დაიწყოს იანვრის ბოლოს, პიკს უნდა ველოდოთ თებერვლის დასაწყისში, რომელიც საშუალო ინტენსიობის ეპიდემიაშიც კი არ უნდა გადაიზარდოს, ვინაიდან მოცირკულირე ვირუსის ვარიანტები მკვეთრად არ შეცვლილა, ამავე მიზეზით ავადობა ძირითადად მოსალოდნელია ბავშვთა კონტინგენტებში, ვისაც წინა სეზონებში გრიპი არ გადაუტანია.

გრიპი ჰაერ-წვეთოვანი გზით ვრცელდება, ხველების, ცემინების ან ლაპარაკის დროს ავადმყოფის გარშემო 1 მეტრის რადიუსში მოკლე ხნით ვირუსების დიდი რაოდენობა იფრქვევა. გადადება შესაძლებელია ცხირსახოცითაც. ავადმყოფი გადამდებია ინკუბაციური პერიოდის ბოლოდან, მაქსიმუმს აღწევს დაავადების 1-2 დღეს, მე-5-7 დღიდან გადამდები აღარ არის. ყველაზე საშიშია მსუბუქი ფორმით ავადმყოფები, რომლებიც აგრძელებენ აქტიურ ცხოვრებას და გარშემო მყოფთ ასნებოვნებენ.

ადამიანის ორგანიზმში ვირუსის მოხვედრიდან დაავადების პირველი ნიშნების გამოვლენამდე 12-დან 48 საათია (მაქსიმუმ ხუთი დღე). დაავადების დასაწყისი „მწვავეა“, ავადმყოფს ხშირად შეუძლია დაასახელოს არამარტო დაავადების დაწყების თარიღი, არამედ მიუთითოს ზუსტი დროც.

ცხელება – დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, როგორც წესი შემცივნებით. ტემპერატურის სწრაფი დაწევისას აღინიშნება ოფლიანობა. დაავადების მსუბუქი მიმდინარეობისას სხეულის ტემპერატურა 38-ზე მეტად არ იწევს, ხანგრძლივობა - 1-2 დღე. საშუალო სიმძიმის მიმდინარეობისას კი - 39-მდე, ხანგრძლივობა- 2-3 დღე. მძიმე მიმდინარეობისას – 39-40 -ზე მეტად, ხანგრძლივობა 4-5 დღე.

ინტოქსიკაცია – ვლინდება საერთო სისუსტით, ოფლიანობით, კუნთებში და სახსრებში ტეხვის შეგრძნებით და/ან ტკივილით, თავის ტკივილით, ტკივილით თვალების მოძრაობისას.

კატარალური მოვლენები – რბილი სასის და ხახის უკანა კედლის, ცხვირის ლორწოვანი გარსის გაწითლება, კონიუნქტივიტი. რაც გამოიხატება სურდოთი, ხველებით, ცრემლდენით, სინათლის შიშით და ა.შ.

რინიტი (ცხვირის გასავლების ლორწოვანი გარსის ანთება) – საწყის პერიოდში დამახასიათებელია ცხვირიდან უხვი თხიერი ლორწოვანი გამონადენი (სურდო). თანდართული ბაქტერიული ინფექციის შემთხვევაში გამონაყოფი სქელდება, შეიძლება მიიღოს მომწვანოფერი, ჩირქოვანი ხასიათი და არასასიამოვნო სუნი.

ფარინგიტი (ყელის ანთება) – დამახასიათებელია ხეხვისა და ფხაჭნის შეგრძნება ყელში, წამოხველება, ზედაპირული ხველა.

ლარინგიტი (ხორხის ანთება) – დამახასიათებელია მშრალი, ხშირ შემთხვევაში შეტევითი მტანჯველი ხველა, ხმის ჩახლეჩა.

ტრაქეიტი (ტრაქეის ანთება) – დამახასიათებელია მშრალი ან სველი ხველა, ტკივილი მკერდის ძვლის უკან.

ბრონქიტი (ბრონქების ანთება) – სველ ხველასთან და ნახველთან ერთად ვლინდება ხიხინი ფილტვებში სუნთქვის დროს. როგორც წესი, სველი ხიხინი მოისმინება სტეტოფონენდოსკოპით (ან უბრალოდ ყურით). ხანდახან ისმის მანძილზეც კი.

პნევმონია (ფილტვების ანთება) – ვლინდება თითქმის ყოველ მე-10 ავადმყოფში. რაც უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება, მით მეტი სიმპტომი უვლინდება ავადმყოფს. მათი გამოვლენის ხარისხიც დამოკიდებულია გრიპის მიმდინარეობის სიმძიმეზე.

გარდა „ტრადიციული“ ნიშნებისა, გრიპის მძიმე მიმდინარეობისას შეიძლება გამოვლინდეს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები: მენინგიალური სიმპტომები (ხშირ შემთხვევაში ქრება ერთ-ორი დღის განმავლობაში), ენცეფალოპათია, იშვიათად – თავის ტვინის შეშუპება.

გართულებების გარეშე მიმდინარეობისას, ერთი-ოთხი დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება, ხოლო მე-5-10 დღის ბოლოსათვის იწყება გამოჯანსაღება. გადატანილი ინფექციის შემდეგ 14-20 დღის განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს სხვადასხვა ხარისხის სისუსტე, ადვილი გადაღლა, გაღიზიანება (ასთენიური სინდრომი).

როგორ დავიცვათ თავი დაავადებისაგან:

გრიპისაგან დაცვის რამოდენიმე მეთოდი არსებობს: მოვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს, ვიხმაროთ სამედიცინო (ქირურგიული) ნიღაბი ან დოლბანდის 4 ფენოვანი საფენი. არ დავუშვათ ჩვენს გვერდით სამუშაო ან სწავლის ადგილზე ავადმყოფი, ვურჩიოთ სახლში დაწოლა. ხშირად გავანიავოთ სამუშაო და სასწავლო ოთახები, დავალაგოთ ისინი სველი წესით.

ხალხური საშუალებები: ნიორი, ხახვი, ბალახების ნაყენი, გამოვლებები, გაკაჟება და ა.შ., რაც დაგვიცავს არა მარტო გრიპისაგან, არამედ სხვა „გაციებისაგანაც“.

ერთი-ორი კვირით ადრე დაავადების მატების დაწყებამდე შეიძლება ისეთი პრეპარატების მიღება, როგორიცაა ასკორბინისმჟავა (C-ვიტამინი), ვიტამინების კომპლექსი, ინტერფერონი ნესტოებში, პლაფერონი, დიბაზოლი და ა.შ. ეს საშუალებები ამაღლებენ ორგანიზმის დამცველ ძალებს.

არსებობს სპეციალური პრეპარატები, რომელთაც შეუძლიათ გრიპის ვირუსისაგან დაცვა (ამანტადინი, რემანტადინი, არბიდოლი, ტამიფლუ (ოსელტამივირი), რელანზა და სხვა). მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერი წამლისათვის, მათთვისაც დამახასიათებელია შესაძლო გვერდითი ეფექტები. ამასთან უფრო ძვირადღირებულია. მათ იყენებენ ძირითადად A ტიპის გრიპის მკურნალობისა და ზოგჯერ პროფილაქტიკისათვის.

ვაქცინაცია გრიპის პროფილაქტიკის ეფექტური საშუალებაა, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებისათვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, გრიპის საწინააღმდეგო აცრები პირველ რიგში სასურველია ჩაუტარდეს: 65 წელზე უფროსი ასაკის პირებს; მოხუცთა თავშესაფრების კონტინგენტებს, სასუნთქი ორგანოების და გულსისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილ პირებს, აგრეთვე ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, უპირატესად ქრონიკულად მოავადე ბავშვებს. აცრილ პირებში გრიპით დაავადების შემთხვევაშიც კი დაავადება მიმდინარეობს შედარებით მსუბუქი ფორმით, როგორც წესი, გართულებების გარეშე. განსხვავებით სავალდებულო აცრებისაგან, გრიპის ვაქცინაცია სახელმწიფოს მიერ უმრავლეს ქვეყნებში არ ფინანსდება.

ავადმყოფობის შემთხვევაში აუცილებელია წოლითი რეჟიმი, მაქსიმალური იზოლაცია გარშემო მყოფთაგან. ჰოსპიტალიზაცია აუცილებელია მძიმე ფორმების და გართულებების შემთხვევაში.

მკურნალობა ძირითადად სიმპტომატურია. ანტიბიოტიკის დანიშ-ვნა (მხოლოდ ექიმის მიერ) მიზანშეწონილია გართულებების შემთხვევაში.

იკვებეთ ახალი ბოსტნეულით და ხილით, მიიღეთ ვიტამინი **C**, მოერიდეთ ცხიმიანი ხორცის მიღებას. კარგ ეფექტს იძლევა ქათმის ბულიონი. აუცილებელია სითხის მიღება, დღეში 6-8 ჭიქა წყალი, წვენი, ლიმონიანი ჩაი, კომშის კომპოტი ან ასკილის ნახარში შვებას მოგგვრით. საერთოდ კარგია სხვადასხვა ბალახეულის ნახარშები, განსაკუთრებით ექინაცეის.

ჩაიტარეთ ინჰალაცია – შეისუნთქეთ ადუღებული წყლის ორთქლი, გამოივლეთ მარილიანი წყალი ყელში.

ტკივილების და ტემპერატურის დასაწევად გამოიყენეთ ასპირინი, პარაცეტამოლი და აცეტამინოფენი. მაგრამ 20 წლამდე ასაკში ასპირინის გამოყენებას მოერიდეთ.

აუცილებლადმიმართეთ ექიმს თუ: ტემპერატურა 37-38 3 დღეზე მეტხანს გრძელდება, ბავშვებში კი - 24 სთ-ზე მეტ ხანს; გრძნობთ ნებისმიერ მწვავე ძლიერ ტკივილს - ყურის, ყელის, ფილტვების ან მკერდის სარეში; დიდი რაოდენობით ნახველი გაქვთ ან ნახველი მომწვანო ფერისაა ან სისხლიანი; ძლიერ გიჭირთ ყლაპვა, მადა საერთოდ დაკარგეთ; ხველა გაქვთ ხიხინით, სუნთქვა გიჭირთ-მოხრჩობის გრძნობა გაქვთ.

**არჩილ მჟავია**
სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის
საზ ჯანდაცვის დეპარტამენტი გურიის განყოფილების უფროსი
ტელ.: 260015(496)
მობ.: 591415980
ელ. ფოსტა:**achi52@ mail.ru**
ოზურგეთი, თაყაიშვილის შესახვევი

## თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | ძირ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა | სოფ. შრომა | 26.02.22.047 | 17 792 | 1085,47 | 10881,77 | 5440,89 | 50 | 108817,7 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ.საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

## თვითმმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ვადაგაგრძელებულ აუქციონს

| # | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | ძირ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.11.312 | 338 | | 3042 | 1521 | 50 | 30420 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

| დასახელება | მდებარეობა | საკადასტრ კოდი | მიწის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ნაგომარი | 26.11.06.009 | 24 509 | 735,3 | 367,6 | 50 | 7352,7 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

## "თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობიან აუქციონს (ამორტიზებული შენობის დემონტაჟი)"

| დასახელება | მდებარეობა | საკადასტრ კოდი | ძირ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოფილი ბავშვთა ბაღის შენობა | დაბა ურეკი, წვერმაღალა | 26.35.03.044 | 608,19 | 60 | 30 | 50 | 600 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

**სააუქციონო პირობები**

**ა. ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;**

**ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 6 თვის ვადაში - ობიექტის დემონტაჟი და ობიექტზე მიმაგრებული ტერიტორიის მოწესრიგება-გასუფთავება (დემონტაჟის შედეგად დარჩენილი საამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა)**

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუ-მენტაცია:**

* დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;

* „ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

* "აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ
პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის
წილი 25 %-ზე ნაკლებია;
"

* "მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205
"

* "„ბე“-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე:

- **არასაცხოვრებელი შენობა 300903313;**
- **არასასოფლო მიწა 300903390;**
- **სასოფლო-სამეურნეო მიწა 300903394.**

"

* "დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზე-ბისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ
მუდმივმოქმედი საააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;"

* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2016 წლის 25 იანვრიდან
25 თებერვლის 12 სთ-მდე;"

* აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 25 თებერვალს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიცი-პალიტეტის შენობაში;

* "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების
საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდ-მივმოქმედი საააუქციონო კომისია“

**ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."**

# ევროკავშირმა 2015 წლის ჟურნალისტიკის პრიზის გამარჯვებულები გამოაცხადა

ევროკავშირის ეს პრიზი, რომელიც 2012 წელს დაწესდა, პროფესიული, მიუკერძოებელი და ინფორმაციული ჟურნალისტიკის მხარდასაჭერად გაიცემა. 2015 წლის კონკურსში ჟურნალისტთა ყველაზე დიდმა რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა. საკონკურსოდ დაახლოებით 150-მა ჟურნალისტმა შემოიტანა განაცხადი 6 სხვადასხვა კატეგორიაში, რაც საქართველოში მრავალფეროვანი მედიაგარემოს არსებობას ადასტურებს.

ღონისძიებაზე, რომელიც თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა, ექვსი კატეგორიიდან ხუთ გამარჯვებულს პრიზი გადასცა ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა. მეექვსე კატეგორიის – მშვიდობის ჟურნალისტიკა – პრიზი ჟურნალისტს გადასცა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ერიკ ჰოეგმა. „თავისუფალი და მაღალი ხარისხის მედიი არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში. ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოში,“ – აღნიშნა იანოშ ჰერმანმა.

პირველ ხუთ (თითოეულში) კატეგორიაში შერჩეულ იქნა სამი ნიმინანტი, საიდანაც გამოვლინდა გამარჯვებული.

**საუკეთესო საგამოძიებლო სტატია ბეჭდვით ან ონლაინ მედიაში.**

**ნომინანტები:** ზურაბ ვარდიაშვილი – სიღარიბის შვილები (გამოქვეყნებულია ჟურნალ ლიბერალში); ნინო ბაქრაძე (თანაავტორი დეივიდ ლოსი)– საქართველოში დაბალ ფასად წარმოებული მომგებიანი ბიტკოინი (გამოქვეყნებულია ნეტგაზეტი გე-ში; ეკატერინე ლემონჯავა – შეხვედრა, სადაც სიკვდილის რიგში იდგნენ (გამოქვეყნებულია ტიმერ გე-ში).

**გამარჯვებული ზურაბ ვარდიაშვილი.**

**საუკეთესო საგამოძიებო ტელე-რადიო სიუჟეტი**

ნომინანტები: ლია ტოკლიშვილი თანაავტორი მაია გოგოლაძე)საზ. მაუწყებლის ფილმი „ოქროსთვის შეწირული ქალაქი“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი; ცქრიალა შერმადინი, სტუდია „მონიტორი“. ფილმი „ნაპატივები მილიონები“ (მაესტრო); გორგი გვიშიანი (თანაავტორები იოსებ წიკლაური, იაგო გოგილაშვილი)„ქართული ნაციზმი“ („რუსთავი-2“

**გამარჯვებული ლია ტოკლიკიშვილი (თანავტორი მაია გოგოლაძე)**

**საუკეთესო ონლაინ ან ბეჭდური ბლოგი, რომელიც ხელს შეუწყობს ცოცხალ, დაბალანსებულ, სამართლიან და პლურალისტურ დებატებს მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ საკითხებზე, რასაც შეუძლია არაპირდაპირ წარმოაჩინოს ევროკავშირის ფასეულობები.**

**ნომინანტები:** ანუნა ბუკია – პაციენტის დღიური“ (გამოქვეყნდა **www liberali.ge**); დავით ღონღაძე – წამალდამოკიდებულება (გამოქვეყნდა **www.heretifm.com**) ერეკლე ციცანიძე – „რა სარგებლობა მოაქვს თვითმმართველობას?!“ (გამოქვეყნდა **www hertifilm.com)**

**გამარჯვებული ანა ბუკია.**

ყველაზე ინფორმაციული ონლაინ მედიასაშუალება (ახალი ამბების სააგენტო,ვებპორტალი, ონლაინგაზეთი, ონლაინჟურნალი) ნომინანტები: **www Cai-khana.org; iset economist blog; www ipn.ge**

გამარჯვებული **www chai-khana.org.**

**საუკეთესო დოკუმენტური ფოტო, რომელიც ევროკავშირის ფასეულობებს ასახავს**

ნომინანტები დარო სულაკაური – ნაადრევი ქორწინება; ანდრო ერაძე – სოლიდარობა სტიქიის შემდეგ; გიორგი შენგელია – ოთხი ოთახი.

**გამარჯვებული დარო სულაკაური.**

**საუკეთესო ნაშრომი ბეჭდვურ, აუდიოვიზუალურ ან ონლაინმედიაში, რომელიც შეეხება კონფლიქტურ თემას (წარმოდგენილია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ (IWPR-თან თანამშრომლობით.**

**გამარჯვებული ნინო ჩიფჩიური – (women-pease.net).**

სამწუხაროდ, გურიის რეგიონის ჟურნალისტები ნომინანტებს შორისაც არ აღმოჩნდნენ.

# სკანვორდი




## №3-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ტაკეში კიტანო; მცირე ზომის ნავი – სანდალი; ჩეხეთის დედაქალაქი – პრაღა; ბილიარდის ჯოხი – კი; სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში – აბასთუმანი; პროტესტანტი მღვდელი – პასტორი; უღელში შესაბმელი პირუტყვი – ხარი; ყინულოვანი კონტინენტი – ანტარქტიდა; წმინდანი – ილია; ქალის სახელი – ირა; წვეტიანი რბილი ფეხსაცმელი – პულემანი; ერთგვარი კანფეტი – ირისი; მოჭრილი ცომი – გუნდა; მამის და – მამიდა; განთიადი – აისი; ზღაპრის გმირი – კონკია; ერთგვარი თიხა – თირი; დიდი ტერიტორიული ერთეული – ქალაქი; ნათელთევზა – ზვიგენი; ავადმყოფი – სნეული; საკონდიტრო ნაწარმი – ბეზე; ვიეტნამის დედაქალაქი – ანოი; ტუვალუს დედაქალაქი – უნაფუტი; პატარა საწნახელი – ორე; მამონტის ხე –სეკვოიადენდრონი; ისტორიული მხარე საბერძნეთში – აკარნანანი; ძველი ქართული გაზეთი – დრონი; ქალაქი რაჭაში – ონი; ქალის სახელი –ანანო; იაპონური ავტომობილი – დაიჰაცუ; ზიარებისა და ჯვრისწერისას დასალევი ღვინო.

# ეპოქა ფირალთა ზეობისა
# მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2-3 2016 წ

***რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი***



ცეკვა, თამაში და სიმღერა, ,,რომელმაც მსგავსი არ იცის სამყაროში'', თავისებური ხასიათისა და სიფიცხის შესადარი, ცეცხლოვანი და ცეცხლმოკიდებული იცოდა გურულმა. დიმიტრი ბაქრაძე, გადმოგვცემს გაზეთ ტიფლისკი ვესტნიკი''-ს კორესპოდენტის კორესპოდენციის შინაარსს.

1873 წლის 7 აგვისტოს ღამე გურიაში ბახვის ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად გავათიე ერთი ადგილობრივი მღვდლისას, ხოლო მეორე დღეს წირვის შემდეგ სადილად მიმიპატიჟა ბახვის წყლის მარჯვენა ნაპირზე თავად დ.კ. გურიელის მოურავმა ბახუტაძემ, მასთან 60 კაცზე მეტმა მოიყარა თავი. (ბახუტაძის ოჯახში მე ვნახე გურულთა (ცეკვა-თამაში), სწორედ იმ სახით, როგორც იგი აღწერა გურიაში დიდი ხნიდან მცხოვრებმა, გაზეთ ,,ტიფლისკი ვესტნიკ''-ის კორესპოდენტმა. ეს ცეკვა—თამაში კარგად ახასითებს გურულის მკვირცხლ ბუნებას. ყველასათვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს საშიში ცეკვა ხანჯლებით, რაცა თუ არ ვცდებით, მხოლოდ გურიაში იციან.

,,ტიფლისკი ვესტნიკიდან'' შემოკლებით მომყავს ის ადგილები, რომლებიც ამ საგანს ეხება: საეკლესიო დღესასწაულები, ამბობს კორესპოდენტი, როგორც გურიაში, ისე ყველგან საქართველოში სახალხო ზეიმია, რომელსაც არა მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან და ქალაქებიდან ესწრებიან, არამედ სხვა გუბერნიებიდან და რამდენიმე ათეული ვერსიდან. ადგილობრივი მოსახლეობა მთელი კვირით ადრე იჭერდა თადარიგს. კლავენ შინაურ ფრინველებს: შეძლებულ ოჯახებში ცხვრებს, ძროხებს და სხვ. ნადიმის შემდეგ იმართება საერთო ცეკვა-თამაში, რაც ასე იწყება: ჩვეულებრივ, შუა ადგილას გამოდის ორი გურული და ცეკვავს ამხანაგების სიმღერის ხმაზე. ორივე იშიშვლებს ხანჯლებს,... ოსტატურად და მარჯვედ აკეთებენ სხვადასხვა ილეთს. უწინარეს ყოვლისა მოცეკვავე ელვისებურად იწყებს ტრიალს და იქნევს ხანჯალს შემოჯარულ მაყურებლებში: შეიკვრება დიდი წრე რომელშიაც ვერავინ ვერ შებედავს; შემდგომ სიმღერებს შეუერთდება ეროვნული მუსიკა, დაირებით და ტაში მუსიკის ტაქტზე. ამ დროს თითოეულ მოცეკვავეს კიდევ ორ ხანჯალს აძლევენ: ერთი მათგანი სწრაფად იქნევს ხანჯალს და გამალებით ირტყამს პირით გვერდებზე, იღლიებში, მკლავებზე, ნაკვთებზე, და ზურგს უკან კისერზე: შემდეგ სამივე ხანჯალს კბილებით იჭერს და ყველაფერს ამას ისე აკეთებს, რომ ცეკვას არ წყვეტს. პარტნიორი მის ირგვლივ ტრიალებს, თითქოს თანამოძმის სიმკვირცხლეს სწავლობსო: ხან წინ დაუდგება, ხან ისევ გველივით იკლაკნება და მთელი ხნის განმავლობაში ორივე ხანჯლებით საშიშ ფიგურებს აკეთებენ. შემდეგ ერთი მოცეკვავეთაგანი, თითქოს გააჯავრესო, თავს დაესხმის პარტნიორს და თავისა და ტანის ირგვლივ ხანჯალს დაუტრიალებს. ერთი მათგანი შეჩერდება, ორივე ხელით უჭირავს გაწვდილი ხანჯლები, ხოლო მეორე ზედ გადაახტება ამ ხანჯლებს, თანაც თავის ხანჯლებს ათასნაირად იქნევს. როცა მოცეკვავენი დაიღლებიან, მათ ხმლებს აწვდიან და ორი ძმაკაცი იწყებს ფარიკაობას და ენით აუწერელ სიმკვირცხლეს იჩენს. ბოლოს, როცა ხანჯლებს მათ პატრონებს დაუბრუნებენ, ზედიზედ დაცლიან დამბაჩებსა და შაშხანებს და ამით აძლევენ ნიშანს, რომ ახლა სხვებსაც აქვთ უფლება, ჩაერიონ ცეკვა-თამაშში, შემდეგ ისინი შეჩერდებიან, ტაშს დაუკრავენ და ამით უხმობენ ცეკვის მსურველებს. იმ წამსვე წრეს გამოეყოფიან ქალები, ქალიშვილები და მამაკაცები და წყვილ-წყვილად დაეწყობიან, დამა-კავალრებად. იწყება ცეკვა, რომელსაც საცეკვაოდ გამომწვევნი დირიჟორობენ, იგინივენი არიან სიმღერის დამწყებნი. ყოველი დამწყები ცეკვის დროს კაფიად თხზავს ფრიად მწყობრ და გონებამახვილურ სიმღერებს... მოცეკვავეთა წრე ტრიალებს, დამწყებთა ირგვლივ, იტაცებს მათ ბოლო სიტყვება, ტონით და ტაქტით უფრო ამძაფრებს მას.

ამ ცეკვის დროს დაირა და მუსიკა დუმს. მუსიკა მხოლოდ მაშინ იწყებს დაკვრას, როცა დამწყები დამბაჩის გასროლით მისცემს ნიშანს: მაშინ ყველანი ჩერდებიან და ხელებს ჩამოუშვებენ, ხოლო დამწყებნი (ფიცხელი და ცეცხლოვანი ცეკვით) ჩამოუქროლებენ წრეს.ბოლოს ორივენი (კრძალვით და რიდით) ჩერდებიან ქალიშვილების წინაშე. შემდეგ იწყებენ და მათ პირისპირ ასრულებენ ცეკვის ნაირნაირ (შესაშურ) ილეთებს, თავის დაკვრით იწვევენ წრეში (კდემით აღსავსე ქალიშვილებს). მუსიკა (მძაფრდება) ახლა ყველანი ერთად ტაშს უკრავენ, ორი გურული ქალი (ვითარცა ციდან მოწყვეტილ ვარსკლავთა ღელე) მერცხალივით სწრაფად მოქნილად და მკვირცხლად ტრიალებს. ღმერთმა დაგიფაროს... ამ ზეიმის დროს თავს ნება მისცეთ და მათთვის შეურაცყოფელი საქციელი ჩაიდინოთ''.3409

ასეთი იყო გურული რელიგიური დღესასწაულისა და ზეიმის ზეობის ჟამს. ადვილი წარმოსადგენია როგორი უნდა ყოფილიყო იგი ,,მყის გულმწყრალი'' გაცეცხლებისა და გაავების დროს (ჟამს) მეტადრე მაშინ, თუკი სხვა ვინმე ,,მოუყრიდა მისი კერიის ლადარს'' წუნწუბასა და თოფისწამალს''.

შეურაცყოფას, გაქირდვას, გაკილვას, ძაგებასა და მის მიმართ ,,საჯაყად'' მოქცევას იგი ძნელად თუ ვისმე პატიებდა და შეარჩენდა, თუნდაც მის წინაშე თავადიშვილი თუ აზნაური მდგარიყო. შეურაცმყოფელი იმავ წამს მისი ჩახმას შემართული ,,ყაფალა თოფის'' ბედისწერა ხდებოდა. თოფის გავარდნას გურულის ,,გავარდნა'' და ,,გაფირალებაც'' ზედ ერთვოდა. უსიერ ტყეთა ტევრებში მისი გამკიდებელი არავინ იყო. ძირითადად ხალხში თუ ჩაუსაფრდებოდა ,,მზირად'' მას ,,მადევარი სტრაჟნიკი'' თუ ,,საერებო დარაჯი'' და ღალატის გზით დაგებულ მახეში თუ გახლართავდა ხელისუფლებისადმი მეტად საშიშ ბოროტგანმზრახველს.

გურულის ბუნება ურთულესი იყო. ფირალად გავარდნის, კაცთა კვლის, ტერორისტობისა და იუმორის ურთიერთშერწყმა ,,ერთარსში'' და ,,ერთსახებაში'' ნამდვილი ,,საოცრების რანგში'' იყო წარმოდგენილი ნინო ნაკაშიძე წერდა:

,,ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმაზე, თუ რა არის გურული ხალხის განსაკუთრებული თვისება, რაში გამოიხატება ის შესანიშნავი ზნეობრივი ძალა, ის უხილავი სულიერი ძალები. რომლითაც გიზიდავთ გურული ხალხი.

**(გაგრძელება იქნება)**

ქალი და კაცი მათ სიახლოვეს, მათთან კავშირს

**ენვერ გოგუაძე**

## სოფელ კონჭკათში „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი გაძარცვეს

**ალიონი.** მოსახლეობა ,,ლიბერთი ბანკის'' თხინვალისა და ვაკიჯვრის ფილიალების გაძარცვის შესახებ ინფორმაციებს ადგილობრივი მედიის საშუალებით ფლობდა. მძარცველები ,,ლიბერთი ბანკის'' კონჭკათის ფილიალს კვლავ ,,ესტუმრნენ.''. მათ სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში შესაღწევად მინა გამოიღეს და შენობაში შევიდნენ. შემდეგ ,,ლიბერთი ბანკის'' ფილიალის ოთახი გატეხეს და სეიფი წაიღეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ,,ნადავლი'' მხოლოდ 28 ლარს შეადგენდა.

დღეს დილიდან სოფელ კონჭკათში შსს ოზურგეთის სამმართველოს კრიმინალისტები მუშაობდნენ.

,,ლიბერთი ბანკის'' მმართველის, ავთანდილ სვანიძის თქმით, იგი მომხდარზე ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებს, რადგან საქმეს პოლიცია იძიებს. რაც შეეხება კითხვას, ხომ არ შეექნება კონჭკათელებს, ,,ლიბერთი ბანკის'' მომსახურების პრობლემები, პასუხობს, რომ ,,ლიბერთი ბანკი'' საჭიროების შემთხვევაში სოფელში სერვისცენტრის ავტომობილებს მიავლენს და მოსახლეობას მომსახურებაზე პრობლემა არ შეექმნება.

## ოზურგეთში სწრაფი ჩარიცხვის აპარატების გაქურდვის სერიალი გრძელდება

17 იანვარს, შუაღამით, შსს გურიის პოლიციის ოზურგეთის რაიონული სამართველოს თანამშრომლებმა ერისთავის ქუჩაზე მდებარე სწრაფი ჩარიცხვის აპარატების გაქურდვის მცდელობის ფაქტზე, ცხელ კვალზე დააკავეს 1986 წელს დაბადებული გ. ჩინიანი და 1991 წელს დაბადებული ვ. კოროლიოვი. ორივე ეჭვმიტანილი ოზურგეთელია.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით.

შეგახსენებთ, რომ სწრაფი ჩარიცხვის აპარატების გაქურდვის რამდენიმე ფაქტი გასული წლის ბოლოსაც დაფიქსირდა

## განცხადებები

**იყიდება სამასკაციანი საქორწილო დარბაზი 100 კვ. მ სამზარეულოთი.**

**ტელ. 593 95 51 83.**

**ოზურგეთის ცენტრში იყიდება 46 კვ. ფართის მქონე მაღაზია.**

**ტელ. 555 75 42 09.**

## ეთერ გობრონიძე



გარდაიცვალა სუბტროპიკული, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი და მკვლევარი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ეთერ ალექსანდრეს ასული გობრონიძე.

იგი დაიბადა 1930 წელს ქ. ოზურგეთში. 1954 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, მუშაობა დაიწყო ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკულ მეცნიერებათა სამეცნიერეო კვლევითი ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილებაში.

უნივერსიტეტში მიღებული ქიმიური მეცნიერების ღრმა ცოდნის, არაჩვეულებრივი ნიჭიერებისა და დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით, ქ-ნი ეთერი ძალიან მალე გახდა გამორჩეული ქიმიკოს-ანალიტიკოსი.

1965 წელს ცნობილი მეცნიერის ზენონ იოსების-ძე ჟურბიცკის ხელმძღვანელობით, ე. გობრონიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1966 წლიდან იგი აგროქიმიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გახდა და აქტიურად მონაწილეობდა სუბტროპიკული კულტურების განოყიერების სისტემის შესწავლაში. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავებულია ფოსფორიანი სასუქების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგია. შესწავლილია ნიადაგის ფოსფატების შთანთქმის კანონზომიერებები. დადგენილია ფოსფატების შებოჭვის სისტემის ინდექსები, რომლის საფუძველზედაც ხდება ფოსფატების რეჟიმის სრულყოფილი დახასიათება. ეთერ გობრონიძის კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები აისახა ჩაის, ციტრუსების და დაფნის კულტურის აგროწესებში.

ე. გობრონიძე, როგორც მაღალკვალიფიციური მკვლევარი, მივლინებული იყო მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და “დოლგოპრუდის'' საცდელ-სამეცნიერო სადგურში სამეცნიერო მუშაობის ურთიერთ გაცვლის მიზნით.

სამეცნიერო მოღვაწეობისას, ქ-ნი ეთერი იყო დაუზარელი, პირდაპირი, უშურველი კონსულტანტი და თანამდგომი კოლეგებისა და ახალგაზრდა კადრების მიმართ. მან არაერთი ახალგაზრდა სპეციალისტი მოამზადა. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა.

ეთერს, როგორც ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ ქალბატონს, ახასიათებდა ახლობელ ადამიანთა ჭირსა და ლხინში თანადგომა და დახმარება. იგი იყო არაჩვეულებრივი დიასახლისი, გულუხვი და დიდად სტუმართმოყვარე.

წავიდა ჩვენგან ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, კარგი მეცნიერი, და სპეციალისტი, შესანიშნავი მოქალაქე და მეგობარი. მზრუნველი მეუღლე, ოჯახისთვის თავდადებული დედა და ბებია. ასეთად დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში.

უახლოესი **მეგობრები და კოლეგები.**

მარინა კეჭაყმაძე, ნუნუ გოგორიკიძე, ლიანა შავიშვილი, იზოლდა მამულაშვილი, თამარ მდინარაძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ეთერ გობრონიძის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



დედა ციური, მეუღლე ეკა ქუტიძე, შვილი ლიზი, ძმა აპოლონ (აპო) ხუნდაძე, რძალი ხათუნა გულბიანი, ძმისშვილები გიორგი, მარიამი, ძმისშვილიშვილი ანასტასია ხუნდაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გოდერძი (გია) აპოლონის-ძე ხუნდაძე. პანაშვიდი ორშაბათს, 24. 01.დაკრძალვა 25 იანვარს. მისამართი; თაყაიშვილის ქ. №71-ა.

<u>იუბილარი</u>

# ამირან (დევიკო) თოიძე – 60



ალსაზრდელებისა და პედაგოგებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით გამორჩეულ საუკეთესო ხელმძღვანელს, რომელიც თითქმის სამი ათეული წელი უდგეხართ სათავეში მშობლიური მაკვანეთის საჯარო სკოლას.

პრძალვით ვხრით თავს თქვენი ესოდენ ლამაზი ნაღვაწის წინაშე, გიხდით მადლობას პროფესიისა და ქართული სიმღერის უსაზღვრო სიყვარულისთვის.

კვლავ წარმატებებით გევლოთ, დღეგრძელობა და მხნეგრძელობა თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ჩვენო დევიკო!

გულწრფელი სიყვარულითა და ულრმესი პატივისცემით გეხმიანებით და გილოცავთ განსაკუთრებულ იუბილეს - ექვსი ათეული წლის ღირსეულად გასრულებას. პატივს მოგაგებთ თქვენ – კეთილშობილს და უდიდესი პასუხისმგებლობის მქონეს,

გფარავდეთ ღმერთი!

პატივისცემით,

**როზა გოგუაძე,**
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.


# ავტომობილები განვადებით





## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.

რ


# „ფრიზლაითის“ პერფორმანსი ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში



17 იანვარს, ქ. ოზურგეთის მერიის ორგანიზებითა და დაფინანსებით, დრამატულ თეატრში ,თანამედროვე ხელოვნების ახალი მიმართულების „ფრიზლაითის" პერფორმანსი გაიმართა. „ფრიზლაითი" ახალი სიტყვაა თანამედროვე ხელოვნებაში და იგი მუსიკის, ქორეოგრაფიის, ფოტოგრაფიისა და მხატვრობის სინთეზია. მაყურებელი თავად ხდება შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე და ხელოვნების ნიმუშები სწორედ მის თვალწინ იბადება. ოზურგეთი ამ შთამბეჭდავი შოუს პირველი მაყურებელი და შემფასებელია, რადგან წარმოდგენა ამ ფორმატით პირველად სწორედ ქ. ოზურგეთში გაიმართა.

იმავე დღეს ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გაიხსნა ჯარჯი და ანტონ ბალანჩივაძეების ფერწერული ნამუშევრების გამოფენა.

ოზურგეთელ მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება ბალანჩივაძეების დიდი ოჯახის კიდევ ერთი ნიჭიერი ხელოვანის - ანტონ ბალანჩივაძის სტუმრობა და მისი არჩვეულებრივი პერფორმანსი.



# ოზურგეთის „მერცხალს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს

„გია ჩხაიძე პროფესიონალი მწვრთნელია. დიდი იმედი მაქვს, ერთობლივი მუშაობით წარმატებების მიღწევას შევძლებთ. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, კლუბს საჭირო შედეგის მისაღწევად, მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, ყველა პირობა შევუქმნათ. ასე გაგრძელდება მომავალშიც. გულშემატკივარი თქვენგან წარმატებულ სეზონს ელოდება და იმედი მაქვს, მათი მოლოდინის გასამართლებლად თავს არ დაზოგავთ და შესაბამის შედეგს მიაღწევთ", - ასე მიმართა სპორტსმენებს ბეგლარ სიორიძემ, ახალი მწვრთნელის წარდგენისას.



გია ჩხაიძე ამ დრომდე საფეხბურთო კლუბ "გურიას" მთავარი მწვრთნელი იყო. როგორც თავად აღნიშნავს, ამ ეტაპზე "მერცხალი" პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებას დაჯერდება, ხოლო შემდეგ სეზონზე უმაღლესი ლიგისთვის იბრძოლებს. კლუბი მორიგ მატჩს თებერვლის ბოლოს ჩაატარებს და შეხვედრას სტუმრად ცხინვალის "ლიახვთან" გამართავს.

# „არა თურქულ-ინდურ სერიალებს!“

`manifest.ge"-ზე ინტერნეტპეტიცია ვრცელდება, რომლის ადრესატი საქართველოს მთავრობა, საქართველოს პრეზიდენტი და განათლების სამინისტროა.

ხელმომწერები მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ქართულ არხებზე ეს მარაზმი. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ საკითხს აუცილებლად განიხილავენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოები.

მადლობას ვუხდით ყველა ხელმომწერს და მოგმართავთ თხოვნით, გაავრცელოთ აღნიშნული პეტიციის ბმული თქვენი სოციალური ქსელ(ებ)ის - **Facebook, Twitter, LinkedIn, Google Plus, Vkontakte, Odnoklassniki** და ა.შ.",- აღნიშნულია პეტიციაში.

იმისათვის, რომ პეტიცია აღნიშნულ უწყებებს გადაეგზავნოს, საჭიროა 99 924 ხელმოწერა.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თოვლი, -3 0 | მცირე თოვლი, -6+1 | მცირე თოვლი, -6+1 | ღრუბელი +1+7 | მცირე თოვლი, +6+9 | ღრუბელი +7+13 | მზე, ღრუბელი +2+7 |
| 25 იანვარი ორშაბათი | 26 იანვარი სამშაბათი | 27 იანვარი ოთხშაბათი | 28 იანვარი ხუთშაბათი | 29 იანვარი პარასკევი | 30 იანვარი შაბათი | 31 იანვარი კვირა |